

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი №1

ქ. გარდაბანი

29 იანვარი 2026 წელი 12⁰⁰ სთ.

სხდომას თავმჯდომარეობდა:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე მიხეილ გედეხაური

სხდომას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი:

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ვუგარ მამედოვი;
2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - გიორგი გურულიშვილი;
3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ლევან ნიჟარაძე;
4. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - თამარ ხაჩიძე;
5. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - ზურაბ ბენდელიანი;
6. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე - დავით ჭინჭარაული;
7. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - თორნიკე ქავთარაძე;
8. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხალხის ძალა“-ს თავმჯდომარე- ოთარ გავაშელიშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატი) ხელმძღვანელის ფუნქციების შემსრულებელი - ნაია დათუაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის (საორგანიზაციო განყოფილება) ხელმძღვანელი - ვახტანგ მამუკაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის (სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება) ხელმძღვანელი - ნინო დათუაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონებისა და მატერიალური რესურსების მართვის განყოფილების ხელმძღვანელი - დავით ჯანაშია;

დღის წესრიგი:

1. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ .

მომხსენებელი: ფიქრია ქარუმიძე
თანამომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე

2. გარდაბნის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით შინჯიკაშვილი
თანამომხსენებელი: დავით ჭინჭარაული

3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით შინჯიკაშვილი
თანამომხსენებელი: დავით ჭინჭარაული

4. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით შინჯიკაშვილი
თანამომხსენებელი: დავით ჭინჭარაული

5. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით შინჯიკაშვილი
თანამომხსენებელი: დავით ჭინჭარაული

6. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით შინჯიკაშვილი
თანამომხსენებელი: დავით ჭინჭარაული

7. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის თემური ორჯონიკიძისა და მწვრთნელის ირაკლი თარხნიშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

8. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ალექსი ფრეწუაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

9. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის სოსო ებილაშვილისა და მწვრთნელის ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

10. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის მარიამ ბენდელიანისა და მწვრთნელის გიორგი გულბანის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

11. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ანა ბენდელიანისა და მწვრთნელის გიორგი გულბანის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

12. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის აივენგო რიკაძისა და მწვრთნელის ირაკლი თარხნიშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

13. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის რობერტი კობლიაშვილისა და მწვრთნელის იმედა ფერწუაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

14. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის რატი ტალიკაშვილისა და მწვრთნელის შოთა ფერაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

15. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის კობა ქარუმბისა და მწვრთნელის იმედა ფერწუაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

16. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გიორგი ცოპურაშვილისა და მწვრთნელის იმედა ფერწუაშვილის დაჯილდოების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ნოემბრის №84 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

17. საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

მომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე

18. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუნდმივმოქმედი კომისიების შემადგენლობაში ცვლილების შეტანის ცნობად მიღების შესახებ შესახებ.

მთავარი:

სხდომის თავმჯდომარემ, მიხეილ გედეხაურმა ბიუროს სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებლებს საკითხების განსახილველად გამოტანა სთხოვა დამტკიცებული დღის წესრიგის შესაბამისად.

საკითხი 1

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ვინაიდან, მომხსენებელი გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი-ფიქრია ქარუმიძე არ იმყოფებოდა ბიუროს სხდომაზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ნიჟარაძემ ბიუროს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ** და განმარტა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სხვა დელეგირებული უფლებამოსილებათა განსახორციელებლად, საქართველოს მთავრობის განკარგულებებით 2026 წლისთვის გარდაბნის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 13,020,518 ლარი. კერძოდ:

1. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის N102 განკარგულების თანახმად გარდაბნის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 11,244,624 ლარი, შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად:

- სოფ. ნაზარლო-ჯანდარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 420,979 ლარი;
- სოფ. მარტყოფში შიდა გზების რეაბილიტაცია - 962,847 ლარი;
- სოფ. ვაზიანში შიდა გზების რეაბილიტაცია - 436,429 ლარი;
- სოფ. ახალსოფელში შიდა გზების რეაბილიტაცია - 414,356 ლარი;

- სოფ. ნორიოში შიდა გზების რეაბილიტაცია - 414,432 ლარი;
 - სოფ. სართიჭალაში ბილიკის და სანიაღვრე არხის მოწყობა - 1,414,300 ლარი;
 - სოფ. მარტყოფში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია - 1,777,628 ლარი;
 - სოფ. მარტყოფში შოშიაშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია - 535,593 ლარი;
 - სოფელ ნორიოში საჭიდაო დარბაზის მოწყობა - 1,938,563 ლარი;
 - სოფელ მარტყოფში სპორტული დარბაზის მოწყობა - 1,425,000 ლარი;
 - სოფელ სართიჭალაში არსებული საჭიდაო დარბაზის რეკონსტრუქცია - 994,268 ლარი;
 - სოფელ აღთაქლიაში კორპუსების ფასადების და კანალიზაციის რეაბილიტაცია - 510,229 ლარი;
2. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 იანვრის N85 განკარგულების თანახმად გარდაბნის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 662,000 ლარი.
 3. „2026 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 31 დეკემბრის N655 დადგენილებით დამტკიცებული - „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის მიზნობრივი ტრანსფერის ზღვრული წლიური მოცულობა დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად განისაზღვრა 373,540 ლარის ოდენობით, რომელიც სრულად მიიმართება ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის დასაფინანსებლად.
 4. „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის N2260 განკარგულების თანახმად გარდაბნის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 740,354 ლარი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად.

2026 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთებიდან წარმოდგენილი პროექტის მიხედვით მთლიანობაში გაიწერა - 10,033,190 ლარი, მათ შორის:

ცენტრალური ბიუჯეტის ტრანსფერებიდან მორჩენილი თანხები - 2,415,013 ლარი. კერძოდ:

1. „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის N2260 განკარგულების ფარგლებში მორჩენილი ნაშთი - 8,820 ლარი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საჯარო სკოლისთვის მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესასყიდად.
2. „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის N1207 განკარგულებიდან მორჩენილი ნაშთი - 488,245 ლარი.

3. „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ივლისის N1025 განკარგულებიდან მორჩენილი ნაშთი - 63,593 ლარი.
4. „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 იანვრის N186 განკარგულებიდან მორჩენილი ნაშთი - 1,020,086 ლარი, ნორიო მარტყოფი დიდი ლილოს დამაკავშირებელ გზაზე მილ-ხიდის მოსაწყობად.
5. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16 იანვრის N53 განკარგულებიდან მორჩენილი ნაშთი - 140,619 ლარი.
6. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებიდან მორჩენილი ნაშთი - 341,107 ლარი, შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად:
 - სოფელ ვაზიანში შიდა გზების რეაბილიტაცია - 27,120 ლარი;
 - სოფელ სართიჭალაში ბილიკისა და სანიაღვრე არხის მოწყობა - 313,987 ლარი;
7. „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის N302 დადგენილების შესაბამისად გარდაბნის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხიდან მორჩენილი ნაშთი - 93,072 ლარი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად.
8. სოფელ ქვემო კაპანახჩის საჯარო სკოლაში ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობა, სოფელ საცხენისის საჯარო სკოლაში შიდა სარემონტო სამუშაოების შესრულება, სოფელ ნორიოს საჯარო სკოლის პროფესიული განათლების ოთახის რეაბილიტაცია და გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლებისთვის ინვენტარის შესყიდვა - 259,471 ლარი.

ადგილობრივი სახსრები - 7,618,177 ლარი, კერძოდ:

2025 წლის გარდამავალი სამუშაოების დასაფინანსებლად გაიწერა ადგილობრივი ნაშთი - 1,374,606 ლარის ოდენობით, შემდეგი პროექტების დასაფინანსებლად:

- სოფ. ლემშვენიერას სასმელი წყლით მომარაგების სისტემის მოწყობა - 482,331 ლარი;
- ლელაშხას დასახლებაში კოშკის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა - 148,445 ლარი;
- სოფ. თელეთში სპორტული დარბაზის მშენებლობა - 469,668 ლარი;
- ქ. გარდაბანში, ქვემო კაპანახჩის დასახლებაში სტადიონის რეაბილიტაცია - 29,894 ლარი;
- გარდაბნის მუნიციპალიტეტში, ლელაშხას დასახლებაში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას კოშკის მოწყობა - 131,005 ლარი;
- სოფ. ნაზარლო-ჯანდარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 67 ლარი; (2025-2026 საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტის ადგილობრივი წილი)

- სოფ. მარტყოფში შიდა გზების რეაბილიტაცია - 5,897 ლარი; (2025-2026 საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტის ადგილობრივი წილი)
- სოფ. ვაზიანში შიდა გზების რეაბილიტაცია - 41,550 ლარი; (2025-2026 საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტის ადგილობრივი წილი)
- სოფ. სართიჭალაში ბილიკის და სანიაღვრე არხის მოწყობა - 35,200 ლარი; (2025-2026 საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტის ადგილობრივი წილი)
- სოფ. მარტყოფში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია - 4,511 ლარი; (2025-2026 საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტის ადგილობრივი წილი)
- სოფ. მარტყოფში შოშიაშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია - 26,038 ლარი; (2025-2026 საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტის ადგილობრივი წილი)

გასულ წლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის ხარისხის გარანტიის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია - 581,285 ლარი.

„მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ივლისის N1025 განკარგულების თანადაფინანსებისთვის 2026 წელს გათვალისწინებული იქნება 2025 წლიდან მორჩენილი ადგილობრივი ნაშთი - 127,186 ლარი.

2026 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გამოყოფილია - 4,890,100 ლარი, შემდეგი პროექტების დასაფინანსებლად:

- ქ. გარდაბანში ორი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა - 1,055,300 ლარი;
- სოფ. მარტყოფში გარე-განათების მოწყობა - 151,000 ლარი;
- სოფ. მარტყოფში ორი ერთეული საცხოვრებელი კორპუსის ფასადების და სახურავის რეაბილიტაცია - 358,400 ლარი;
- სოფ. მარტყოფში კორპუსების ეზოების მოასფალტება - 83,600 ლარი;
- სოფ. სართიჭალაში (ცენტრალური სტადიონის და N3 საბავშვო ბაღის მიმდებარედ) შიდა გზების რეაბილიტაცია - 688,600 ლარი;
- სოფ. სართიჭალაში კორპუსების ეზოების მოასფალტება - 283,300 ლარი;
- სოფ. გამარჯვებაში ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია - 325,700 ლარი;
- სოფ. კალინინოში და ქ. გარდაბანში ცენტრალურ გზაზე გარე-განათების მოწყობა - 1,470,800 ლარი;
- სოფ. თაზაქენდში სკვერის მოწყობა (ტიპური) - 59,200 ლარი;
- სოფ. ქვემო თელეთში სტადიონის მოწყობა (ტიპური) - 207,100 ლარი;
- სოფ. ქესალოში სტადიონის მოწყობა (ტიპური) - 207,100 ლარი;

მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჭიროებებისთვის - 645,000 ლარი გადანაწილდა შემდეგნაირად:

- ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი - 300,000 ლარი;
- ნარჩენების შეგროვებისათვის საჭირო კონტეინერების შეძენა - 300,000 ლარი;
- საახალწლო განათებებისა და ნაძვის ხის მონტაჟ-დემონტაჟი - 45,000 ლარი;

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ .

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 9

წინააღმდეგი – 0

საკითხი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ

ვინაიდან, მომხსენებელი - გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური მართვისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - დავით შინჯიკაშვილი არ ესწრებოდა ბიუროს სხდომას, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონებისა და მატერიალური რესურსების მართვის განყოფილების ხელმძღვანელმა - დავით ჯანაშიამ ბიუროს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი - **გარდაბნის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ** და განმარტა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში – მიწის ნორმატიული ფასი) დიფერენცირებულია ქ. გარდაბნის ზონირების საფუძველზე შესაბამისი ზონების მიხედვით და გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$C_N = I_{MG} X I_{IL} X C X K$, სადაც:

ა) C_N – არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;

ბ) I_{MG} – არის ქ. გარდაბნის მაკრომდებარეობის ინდექსი, რომლის სიდიდეც უდრის 0,52-ს;

გ) I_{IL} – არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის:

გ.ა) ცენტრალური ზონისათვის – 1.2-ს;

გ.ბ) შუალედური ზონისათვის – 1.0-ს;

გ.გ) პერიფერიული ზონისათვის – 0,8-ს;

დ) C – არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0,24 ლარს.

ე) K – არის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) მიერ დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი, რომლის მინიმალური ოდენობა უდრის 20-ს.

მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა ყველა ზონაში უდრის 90-ს.

2. პირველი პუნქტის მიხედვით ქ. გარდაბნის მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

I_{MG}	I_{IL}	C	K	C_N (ლარი)
ცენტრალური ზონა				
0,52	1.2	0.24	90	13,4784
შუალედური ზონა				
0,52	1.0	0.24	90	11,232
პერიფერიული ზონა				
0.52	0.8	0.24	90	8,9856

3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ. გარდაბნის შუალედური ზონისათვის დადგენილი ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 5.616 ლარს.

4. გარდაბნის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ. გარდაბნის შუალედური ზონისათვის დადგენილი ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 5.616 ლარს.

5. გარდაბნის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში გამავალი „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ. გარდაბნის შუალედური ზონისათვის დადგენილი ფასის 70%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 7.8624 ლარს.

ქ. გარდაბნის ტერიტორიის ზონირება

ქ. გარდაბნის ზონების აღწერა	ლოკალური ტერიტორიული ინდექსი L _{TL}
ცენტრალური ზონა	
ცენტრალური ზონა: დავით აღმაშენებლის ქუჩა	1.2
შუალედური ზონა	
შუალედური ზონა: ქეთევან წამებულის ქუჩა, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩა, ლადო ასათიანის ქუჩა, ს. ვურგუნის ქუჩა, გორკის ქუჩა, 9 აპრილის ქუჩა, სადგურის ქუჩა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩის გადაკვეთამდე, კოლმეურნის ქუჩა ლადო ასათიანის ქუჩის გადაკვეთამდე, სიხნოს ქუჩა ვურგუნის ქუჩის გადაკვეთამდე. ბაქოს ქუჩა, კომისრების ქუჩა, გენადი ხარძიანის ქუჩა გორკის ქუჩის გადაკვეთამდე, სადგურის და დ. აღმაშენებლის ჩიხი 9 აპრილის ქუჩის გადაკვეთამდე.	1.0
პერიფერიული ზონა	
პერიფერიული ზონა: გამარჯვების ქუჩა, ნიზამის ქუჩა, კოსმონავტების ქუჩა, კონსტიტუციის ქუჩა, ჭაჭავჭავაძის ქუჩა, თბილწყაროს დასახლება, მე-7 ქარხნის დასახლება, თბილსრესის დასახლება, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, 9 აპრილის ქუჩის ჩიხი, 9 აპრილის ქუჩის II ჩიხი, ქვემო კაპანახჩის დასახლება, ლელაშხას დასახლება და სხვა.	0.8

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა - გარდაბნის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

საკითხი 3

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

ვინაიდან, მომხსენებელი - გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური მართვისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - დავით შინჯიკაშვილი არ ესწრებოდა ბიუროს სხდომას, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონებისა და მატერიალური რესურსების მართვის განყოფილების ხელმძღვანელმა - დავით ჯანაშიამ ბიუროს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ და განმარტა:

განკარგულების პროექტის მიღების მიზეზი: გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცება.

განკარგულების პროექტის მიღების მიზანი:

უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში, თანდართულ ცხრილში მითითებული, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეტანა, შემდგომში პრივატიზების მიზნით.

უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა

№	მესაკუთრე	უძრავი ქონების დასახელება	უძრავი ქონების მისამართი	მიწის ფართობი კვ.მ/სხვა	შენობების რაოდენობა	უძრავი ქონების საკადასტრო კოდი
1	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობა	გარდაბანი, სოფელი ლემშვანიერა	1809	№1	81.20.03.337
2	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	შენობა-ნაგებობა №01/2; №02/1 და №03/1-ის სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარების შედეგად მისაღები მეორადი სამშენებლო მასალები (მიწის გარეშე)	გარდაბანი, სოფელი სართიჭალა		№1; №2; №3	81.12.20.632
3	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	შენობა-ნაგებობა №01/5-ის სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარების შედეგად მისაღები მეორადი სამშენებლო მასალები (მიწის გარეშე)	გარდაბანი, სოფელი სართიჭალა		№1	81.12.17.389
4	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობა	ქალაქი გარდაბანი, მუზეუმის მიმდებარე ტერიტორია	233	№1	81.15.13.264
5	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	მიწის ნაკვეთი	ქალაქი გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია	150		81.15.14.208
6	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	მიწის ნაკვეთი	ქალაქი გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ. №75-ის მიმდებარედ	222		81.15.14.184
7	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	მიწის ნაკვეთი	ქალაქი გარდაბანი	133		81.15.08.431

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 9

წინააღმდეგი – 0

საკითხი 4

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

ვინაიდან, მომხსენებელი - გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური მართვისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - დავით შინჯიკაშვილი არ ესწრებოდა ბიუროს სხდომას, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონებისა და მატერიალური რესურსების მართვის განყოფილების ხელმძღვანელმა - დავით ჯანაშიამ ბიუროს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ** და განმარტა:

განკარგულების პროექტის მიღების მიზეზია:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცება.

განკარგულების პროექტის მიღების მიზანი:

უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმაში გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, თანდართულ ცხრილში მითითებული უძრავი ქონების შეტანა, შემდგომში პრივატიზების მიზნით.

იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის გამოცემა:

განკარგულებით დამტკიცებული პროექტის განხორციელება ზეგავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. მოსალოდნელია უძრავი ქონების გარდაქმნა ფინანსურ აქტივად.

უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმა

№	საპრივატიზებო ობიექტის დასახელება/დანიშნულება	საკადასტრო კოდი	მისამართი	ექსპერტიზის მიერ განსაზღვრული საწყისი საპრივატიზაციო საფასური (ლარი)	10%, ბე-ს ოდენობა (ლარი)	10%, ბიჯის ოდენობა (ლარი)	აუქციონის ფორმა	აუქციონის შემდგომ მუნიციპალიტეტის პრივატიზებული ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდის ან/და პერიოდულობის შესახებ
1	მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობა	81.20.03.337	გარდაბანი, სოფელი ლემშვანიერა	####	4337,4	4337,4	უპირობო	აუქციონში გამარჯვებულმა პირმა მუნიციპალიტეტის პრივატიზებული ქონების სრული ღირებულების გადახდა უნდა უზრუნველყოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში
2	შენობა-ნაგებობა №01/2; №02/1 და №03/1-ის სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარების შედეგად მისაღები მეორადი სამშენებლო მასალები (მიწის გარეშე)	81.12.20.632	გარდაბანი, სოფელი სართიჭალა	####	###	2644	უპირობო	აუქციონში გამარჯვებულმა პირმა მუნიციპალიტეტის პრივატიზებული ქონების სრული ღირებულების გადახდა უნდა უზრუნველყოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში
3	შენობა-ნაგებობა №01/5-ის სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარების შედეგად მისაღები მეორადი სამშენებლო მასალები (მიწის გარეშე)	81.12.17.389	გარდაბანი, სოფელი სართიჭალა	####	###	3508	უპირობო	აუქციონში გამარჯვებულმა პირმა მუნიციპალიტეტის პრივატიზებული ქონების სრული ღირებულების გადახდა უნდა უზრუნველყოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში
4	მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობა	81.15.13.264	ქალაქი გარდაბანი, მუზეუმის მიმდებარე ტერიტორია	####	###	4609	უპირობო	აუქციონში გამარჯვებულმა პირმა მუნიციპალიტეტის პრივატიზებული ქონების სრული ღირებულების

								გადახდა უნდა უზრუნველყოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში
5	მიწის ნაკვეთი	81.15.14.208	ქალაქი გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია	####	###	3750	უპირობო	აუქციონში გამარჯვებულმა პირმა მუნიციპალიტეტის პრივატიზებული ქონების სრული ღირებულების გადახდა უნდა უზრუნველყოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში
6	მიწის ნაკვეთი	81.15.14.184	ქალაქი გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ. №75-ის მიმდებარედ	####	###	5550	უპირობო	აუქციონში გამარჯვებულმა პირმა მუნიციპალიტეტის პრივატიზებული ქონების სრული ღირებულების გადახდა უნდა უზრუნველყოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში
7	მიწის ნაკვეთი	81.15.08.431	ქალაქი გარდაბანი	####	###	1995	უპირობო	აუქციონში გამარჯვებულმა პირმა მუნიციპალიტეტის პრივატიზებული ქონების სრული ღირებულების გადახდა უნდა უზრუნველყოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

საკითხი 5

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

ვინაიდან, მომხსენებელი - გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური მართვისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - დავით შინჯიკაშვილი არ ესწრებოდა ბიუროს სხდომას, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონებისა და მატერიალური რესურსების მართვის განყოფილების ხელმძღვანელმა - დავით ჯანაშიამ ბიუროს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ და განმარტა:

განკარგულების პროექტის მიღების მიზეზი:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცება.

განკარგულების პროექტის მიღების მიზანი:

მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ექსკავატორის შეტანა, შემდგომში პრივატიზების მიზნით.

იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის გამოცემა:

განკარგულებით დამტკიცებული პროექტის განხორციელება ზეგავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. მოსალოდნელია მოძრავი ქონების გარდაქმნა ფინანსურ აქტივად.

მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა

№	საპრივატიზაციო ობიექტის დასახელება	მდებარეობა	მაიდენტიფიცირებელი/მახასიათებელი ნიშანი	რაოდენობა
1	გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ექსკავატორი: მარკა MST, მოდელი: M544; სახ. ნომერი: SS-733-B	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	M544SU2102937	1

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

									ან/და პერიოდულობის შესახებ
1	გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ექსკავატორი: მარკა MST, მოდელი: M544; სახ. ნომერი: SS-733-B	გარდაბნის მუნიციპალიტეტი	M544SU2102937	1	1E+05	13750	13750	უპირობო	აუქციონში გამარჯვებულმა პირმა მუნიციპალიტეტის პრივატიზებული ქონების სრული ღირებულების გადახდა უნდა უზრუნველყოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა - გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -9

წინააღმდეგი - 0

საკითხი 7

გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის თემური ორჯონიკიძისა და მწვრთნელის ირაკლი თარხნიშვილის დაჯილდოების შესახებ

